სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/84

ქ. თბილისი 15 მაისი 2025წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების 2025-2031 წ.წ. სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის დავით ხვედელიძის 2025 წლის 14 მაისის სამსახურებრივი ბარათისა (MES 0 25 0000521460) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 15 მაისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების 2025-2031 წ.წ. სტრატეგია (დანართი).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1922

SCIENTIA POTESTAS EST.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესიული განათლების სტრატეგია
2025-2031 წ.წ

თბილისი 2025

<u>სარჩევი</u>

შესავალი…….3

1. არსებული სიტუაციის ანალიზი……5
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მისია, ხედვა და ღირებულებები……10
3. SWOT ანალიზი.....13
4. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.....14
5. პროფესიული განათლების გაძლიერება სტუ-ში……...15
6. ინტერნაციონალიზაცია პროფესიულ განათლებაში.....18

დასკვნა……22

შესავალი

პროფესიული განათლება, თანამედროვე გლობალურ სამყაროში, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ხარისხიანი პროფესიული განათლება უზრუნველყოფს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, სიღარიბისა და უმუშევრობის შემცირებას, ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერებას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ზრდას, „მწვანე“ ტრანსფორმაციას, საბოლოო სახით კი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებათაგანია, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესაბამის დოკუმენტებშიც. აღნიშნულის შესრულებაზე კი უშუალოდ პასუხსიმგებელია და უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი და სხვა დეპარტამენტები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგია ორიენტირებულია უპასუხოს საქართველოსთვის 21-ე საუკუნის გამოწვევებს, როგორიცაა ტექნოლოგებისა და შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება, ახალ უნარებზე მოთხოვნა, გლობალიზაცია, COVID-19 პანდემია და პოსტკოვიდური განვითარება; ასევე უპასუხოს ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს, როგორიცაა: ქვეყნის დემოკრატიული, სტაბილური განვითარება, ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა, და ამისათვის განათლების სექტორის ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფინანსური თუ პროგრამული განვითარების უზრუნველყოფა, ქვეყნის ციფრული და მწვანე ტრანსფორმაცია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ითვალისწინებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს - 2030. კერძოდ, გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზანი 4 „ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა და სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა ყველასთვის“,

რომლის უმთავრესი პრიორიტეტებია ხარისხის, შესაბამისობის გაუმჯობესება ღირსეული დასაქმებისა და მაწარმეობის ხელშეწყობის მიზნით; და მიზანი 17, რომლის მიხედვით მდგრადი განვითარების მიზნები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარტნიორობისა და თანამშრომლობის საფუძველზე;

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში ასევე გათვალისწინებულია განათლების 2030 სამოქმედო ჩარჩო (UNESCO 2015), იუნესკოს მიერ გლობალური ტენდენციების ანალიზი, ევროპული დღის წესრიგი ზრდასრულთა სწავლებისათვის და რეკომენდაცია კვალიფიკაციის ამაღლებაზე 2020.

სტრატეგია ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) მიღწევებსა და გამოწვევებს. სტრატეგიაში გათვალისწინებელია COVID-19 პანდემიის გამოწვევები და პოსტპანდემიური განვითარების პრიორიტეტები, რაც მოითხოვს ახალი, მათ შორის ციფრული, უნარების სწრაფ განვითარებას, სასწავლო გარემოსა და სწავლების მიდგომების ტრანსფორმაციას.

1. არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა (World Bank, 2020), რომლის მოსახლეობა 3 728.6 მილიონს შეადგენს (საქსტატი, 2021). მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა იცვლება და ახალგაზრდების წილი მცირდება (2011 წელს 21.8%-დან 2018 წელს 17.8%-მდე), რის შედეგადაც, სამუშაო ასაკის მოსახლეობა და აქტივობების დონეც მცირდება.

გასული ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მიუხედავად (მშპ 4.8%-2018; 5%-2019, საქსტატი) საქართველოს შრომის ბაზარს შემდეგი სახის გამოწვევები აქვს (რაც გავლენას ახდენს პროფესიული განათლების სისტემაზეც):

- არასაკმარისი (განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური) სამუშაო ადგილები;
- თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში;
- ურბანული უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მთლიანი დასაქმების ნახევარი მომსახურების სფეროშია, სოფლის მეურნეობაში 40% და წარმოებაში 10%. უმუშევრობა 2019 წელს 11.6 % იყო, რაც ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო (საქსტატი, 2019). მომსახურების დასაქმების წილი ბოლო ათწლეულში იზრდება სოფლის მეურნეობაში დასაქმების შემცირების ხარჯზე. COVID-19-მა არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე, რამაც შეანელა წინა ათწლეულში მიღწეული პროგრესი. თუმცა პოზიტიურია, რომ საქსტატის შეფასებით, 2021 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 18.7% შეადგინა, ხოლო 2021 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი 12.7%-ია.

ცხრილი 1. შერჩეული ინდიკატორები 2015-2020

ინდიკატორები	2015	2016	2017	2018	2019	2020
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	17.5	3.8
მშპ, რეალური ზრდის ტემპი (%)	2.9	2.8	4.8	4.7	5	-6.2
მოსახლეობა (ათასებში)	3721.9	3728.6	3726.4	3729.6	3723.5	3 716.9
აქტივობის დონე (% 15+)	66.8	66.3	65.8	63.9	62.9	63.7
დასაქმების დონე (% 15+)	57.4	57.1	56.7	55.8	55.7	48.6
უმუშევრობის დონე (% 15+)	14.1	14.0	13.9	12.7	12.8	18.5
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე (% 15-24)	33.8	33.2	28.9	29.9	23.5	-

წყარო: საქსტატი

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (AA 2014) საფუძველს უქმნის გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეფორმების პროცესის დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან, მათ შორის განათლების სფეროში. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების (SDG) მე-4 მიზნის (ხარისხიანი განათლება), და მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მიღწევისათვის. ასევე, საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ 2030 წლისათვის გაიზარდოს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის.

პროფესიული განათლების მართვა ცენტრალიზებულია, თუმცა აქვს ჰიბრიდული მოდელის მახასიათებლები, რადგან იზრდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში სოციალური პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (ETF, 2018). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებაზე, რომლის დანერგვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მისი სააგენტოები - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC), განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS), საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ

კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია ნაკლებად ხდება პოლიტიკის განსაზღვრისა თუ დანერგვის პროცესში; ნაკლებია თანამშრომლობის ტრადიციები თუ ნდობა სოციალური პარტნიორების მხრიდან.

კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2019) ითვალისწინებს როგორც კერძო სექტორის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას პროფესიული განათლების სფეროში. დაწესებულებების დონეზე იზრდება კერძო სექტორის ჩართულობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და დუალური ტიპის სწავლებაში.

2017 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი შეადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის 3.1%-ს. 2017-2020 წლებში განხორციელდა პროფესიული განათლების ბიუჯეტის 22% -იანი ზრდა, რაც საერთო ბიუჯეტის წილის 4% -მდე გაზრდას გულისხმობს. საქართველოს მთლიანი განათლების ხარჯები მშპ-ს წილიდან, 2000-იანი წლების დასაწყისიდან 2% -3% -მდე მერყეობს. OECD- ის ქვეყნებში საშუალოდ 5% -ს ხარჯავენ. პროფესიული განათლების ხარჯები არასოდეს აღემატებოდა განათლების ბიუჯეტის 3-4% -ს (ცხრილი 2).

ცხრილი 2. განათლებისა და პროფესიული განათლების დაფინანსება

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პროფესიული განათლების დაფინანსება (მთლიანი საჯარო ხარჯები)	23.2	33.0	33.7	36.5	43.8	50.9	64.4

წყარო: საქსტატის გაანგარიშებები, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე + MES 2020.

პროფესიული განათლების სექტორის ზომა მცირეა და მონაწილეობა დაბალი, რის გამოც პროფესიული განათლებას გავლენა საქართველოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე შეზღუდულია (ETF, 2019). 2017-2019 წლებში პროფესიულ განათლებას 9 132 -10 371 კურსდამთავრებული ჰყავდა.

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობაზე სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს პროფესიული განათლების ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და მისი შესაძლებლობები რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. 2018-2019 წლებში

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჯამური რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით შემცირდა, 5 კერძო კოლეჯს მონიტორინგის საფუძველზე გაუუქმდა ავტორიზაცია (ACT, 2020). 2020 წლის ივლისის მონაცემებით, სულ საქართველოში ავტორიზებულია 92 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, 67 კოლეჯი/საზოგადოებრივი კოლეჯი, 16 უსდ და 8 სკოლა. 2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 37 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) იყო ხელმისაწვდომი. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია, ხოლო კერძო დაწესებულებები არ მოიცავს მცირე ზომის რეგიონებს, როგორიცაა მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებისა და მათი ტერიტორიული ერთეულების დაფუძნება/განვითარება, შენდება სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, ხოლო სპეციალური პროგრამის ფარგლებში დევნილი სტუდენტები იღებენ ტრანსპორტირების დაფინანსებას.

2015-2019 წლების ჩარიცხვების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების 45% თბილისში სწავლობს. ხოლო თბილისსა და ბათუმში სწავლობს პროფესიული სტუდენტთა ორი მესამედი; პროფესიული განათლება შეიძლება ნაკლებად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის დიდი ქალაქების გარეთ და სადაც ნაკლებია საჯარო და კერძო კოლეჯები.

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა დაბალია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 10 000 – დან 15 000 – მდე მერყეობდა ყველა ტიპის დაწესებულებაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვები 2018 -2019 წლებში შემცირდა, ძირითადად პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების (ხანგრძლივობა საშუალოდ 9 თვე) მოდულური პროგრამებზე გადასვლის გამო (ხანგრძლივობა საშუალოდ 1.5 წელი).

2017-2019 წლებში დარეგისტრირებულთა დინამიკა კლებადია: 2018 წელს რეგისტრანტთა რაოდენობა 19.6%-ით შემცირდა, ხოლო 2019 წელს 11.9%-ით წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით. ჯამში 2019 წელს 19,312 ადამიანმა გაიარა რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; მათ შორის 79%-მა საჯარო და 21%-მა კერძო დაწესებულებებში. რეგისტრანტებს შორის მამაკაცების წილი 51%-ა. თუმცა აღსანიშნავია 2021 წელს რეგისტრანტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა - 19 000 კანდიდატამდე.

იკლებს ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა აბსოლუტური რაოდენობაც: 2017 წ. – 16,570; 2018 წ. – 12,726; 2019 წ. – 11,528. 2019 წელს 7195 სტუდენტმა მიიღო პროფესიული კვალიფიკაცია; 2018 წელს - 10,371; 2017 წელს - 9,132. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტების 62-69% საჯარო დაწესებულებებზე მოდის.

ცხრილი 3. პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხვა კალენდარული წლის მიხედვით

სასწავლებელი	გენდერი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კერძო	კაცი	1466	2376	1949	1960	1866	1879	1991
კერძო	ქალი	2871	3695	2874	2560	2754	2816	2633
საჯარო	კაცი	3630	7398	5953	6412	6757	6612	4480
საჯარო	ქალი	2015	5126	4245	4771	5066	4923	3417
ჯამი		9982	18595	15021	15703	16443	16230	12521
% საჯარო პროფესიული განათლების		57%	67%	68%	71%	72%	71%	63%

წყარო: EMIS ბაზა. მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2012 – 2018 წ.

2016 წლიდან პროფესიული განათლება უფრო ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გახადა შშმ და სსმ პირებისთვის, თუმცა ბენეფიციარების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა. 2015 წლიდან საჯარო კოლეჯებში ადგილების 10% იკავებენ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები. 842 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და 1095 იძულებით გადაადგილებული პირი ჩაირიცხა 2015-დან 2019 წლამდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც პროფესიული ჩარიცხვების 2.9% -ს (EMIS მონაცემთა ბაზა) შეადგენს. ყოველწლიურად შშმ/სსსმ სტუდენტებისთვის პროგრამის დასრულების მაჩვენებელი მზარდია. პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების დონე 2019 წლისთვის 70 %-მდე გაიზარდა.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის, მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

ხედვა

ქვეყანაში პროფესიული განათლების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია:

- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრები;
- პროფესიული განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს პრაქტიკული ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება;
- ქვეყნის სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური ზრდის, გლობალური კონკურენტუნარიანობისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის საქმეში ხარისხიანი პროფესიული განათლება.
- პროფესიული განათლება აღარ განიხილებოდეს, როგორც ვიწრო პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სფერო, არამედ როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, თვითრეალიზაციის, სოციალური

კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სისტემა. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობისა და კერძო სექტორის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

- პროფესიული განათლების მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის როლისა და მნიშვნელობის ამაღლებაზე ზრუნვა.

<u>ღირებულებები</u>

უნივერსიტეტი არის გამტარებელი ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების, როგორიცაა:

- **ხარისხზე ორიენტირება** - სწავლა/სწავლების და უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, აგრეთვე, საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისას მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.
- **მიზანსწრაფვა** - სტუ მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ინჟინერიის მიმართულებით ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულებაა და ისწრაფვის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად.
- **ორიენტირი მუდმივ განვითარებაზე** - უნივერსიტეტი ხელს უწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას.
- **გუნდურობა** - უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ორიენტირებული იყოს საერთო მიზნის მიღწევაზე და თანაბრად გაიზიაროს უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ძირითადი მიზნები, ხედვები და ფასეულობები. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ყველა პროცესში, თავისი კომპეტენციის, ინტერესისა და უფლებამოვალეობის შესაბამისად, ჩართული იყოს უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

- **გამჭვირვალობა** - უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით, დაწესებულება იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებში, პროცედურებსა და გადაწყვეტილებებში.
- **სამართლიანობა** - სტუ-ში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს.
- **თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები** - უნივერსიტეტი ორიენტირებულია კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაზე, რისთვისაც ავითარებს ისეთ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელშიც საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წარმომადგენლად, მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა.
- **სოციალური პასუხიმგებლობა** - უნივერსიტეტი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.
- **თანამშრომლობა გარე აქტორებთან** - უნივერსიტეტი ღიაა თანამშრომლობისთვის ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ავითარებს ურთიერთსასარგებლო კავშირებს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

3. S W O T ანალიზი

(S)trenght - ძლიერი მხარეები	(W)eaknesses - სუსტი მხარეები
• შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ინჟინერიის მიმართულებით; • პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა; • კვალიფიციური პერსონალი. • თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები; • ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა; • პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები; • პროფესიული განათლების სასერთიფიკატო პროგრამები; • თანამშრომლობა ინდუსტრიასთან; • კურსდამთავრებულების გრძელვადიანი კავშირები უნივერსიტეტთან;	• პროფესიული სტუდენტების რაოდენობა; • ახალგაზრდა კადრების სიმცირე; • პროფესიული განათლების პროგრამების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; • საერთო საცხოვრებლის არქონა; • პროფესიული სტუდენტების პროფილით დასაქმებულთა რაოდენობა; • ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი მხარდაჭერა.
(O)pportunities - შესაძლებლობები	**(T)hreats - საფრთხეები**
• ახალი ინოვაციური სასერთიფიკატო კურსებისა და პროგრამების დანერგვა, რომლებიც მიმართულია ინდუსტრიის ახალ მოთხოვნებზე, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი, რობოტიკა, 3D ბეჭდვა და სხვა; • ბაზრის ექსპანსია და საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ახალ ბაზრებზე დასაქმებას; • ახალი პარტნიორობები და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობები საზღვარგარეთ, რაც სტუდენტებს მეტ შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკული ცოდნის შესაძენად. • ტექნიკური მიმართულებების განვითარება ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით (მაგალითად, ვირტუალური ლაბორატორიები, ონლაინ კურსები), რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფრო მოქნილი განათლების მიღებას.	• პანდემიებით, ბუნებრივი კატასტროფებით, საომარი მოქმედებებით განპირობებული საფრთხეები; • უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები; • ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსების ნაკლებობა, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება; • ეკონომიკური კრიზისები; • სწრაფად ცვალებად გლობალურ ინდუსტრიულ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან ადაპტაციის ხანგრძლივობა.

4. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კომპლექსური მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით ახდენს დადებით ზეგავლენას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე და ამ თვალსაზრისით, თითოეული ღონისძიების ინტერესი ერთიანდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების აუცილებელი პირობის დაცვასა და მათი განხორციელების პროცესში შესაძლო საუკეთესო ხარისხის მიღწევის ირგვლივ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პრინციპს და პროცესი წარიმართება სასწავლო სტრუქტურული ერთეულებიდან ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის თითოეული შემადგენელის განვითარებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

შინაარსისა და ინტერესების დაცვის მიზნით, საუკეთესო შესაძლებლობით გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, პარტნიორი ორგანიზაციები და ა.შ.) მაქსიმალურ ჩართულობა. პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა ხარისხისა და სიმძლავრის გარე შეფასებას.

პროფესიული სასწავლო პროცესის ყველა ეტაპის სათანადო ხარისხით განხორციელებას, შინაარსობრივი და ფორმალური თვალსაზრისით, შესაბამის სხდომებზე უშუალო თანამონაწილეობით, კონსულტირებით, ვორკშოპებით, ტრენინგებით, საქმისწარმოებისათვის დადგენილი წესით, აკონტროლებს და უზრუნველყოფს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების გაძლიერებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ", „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, დებულების, ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. პროფესიული განათლების გაძლიერება სტუ-ში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2022-2028" და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2022-2024", განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „პროფესიული განათლების გაძლიერება"-ს სტუ-ში (მიზანი №3.3), რომელიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის „სტრატეგიული მიმართულება 3- სწავლა-სწავლების" ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ კომპონენტად.

აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის, უნივერსიტეტს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კონკრეტული სამოქმედო ოპერაციები, კერძოდ ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, რისთვისაც მითითებულია შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურები, შესრულების ვადები და შეფასების ინდიკატორები.

ამოცანა 3.3.1 „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის შექმნა“
„ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/შექმნა“
„მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება“
„სტუ-ის რეგიონალური პროფესიული კოლეჯების განვითარება“
ამოცანა 3.3.2 „პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“
„საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება“
„საინფორმაციო კამპანიების განხორციელება“
„დამსაქმებლებთან ინტენსიური შეხვედრების ორგანიზება“
ამოცანა 3.3.3 „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ღონისძიებების ორგანიზება“
„დასაქმების ფორუმების ორგანიზება და დამსაქმებლებთან მემორანდუმების გაფორმება“
„პროფესიული ორიენტაციის კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზება“
ამოცანა 3.3.4 „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება“
„პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება“
ამოცანა 3.3.5 პროფესიული განათლების პროგრამების კონკურენტუნარიანობის ამაღლება
აქტივობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
პროფესიული პროგრამების რაოდენობა, ინდიკატორი
პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი
პროფესიული სტუდენტების პროფილით დასაქმებულთა რაოდენობა
პროფესიული სტუდენტების პროფილით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობის თანაფარდობა არაპროფილურად დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობასთან
დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა
ამოცანა 7.1.1 „შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნა“.
„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმების განხორციელება“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ცივილიზებული საუნივერსიტეტო ოჯახის სრულფასოვანი წევრი, მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებზე და უქმნის მათ ცოდნის შექმნის, გადაცემისა და მიღებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

სახელმწიფო პოლიტიკის, აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების სრული მხარდაჭერით და პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების კრიტიკული საჭიროების გაცნობიერებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით კიდევ უფრო გააფართოვებს ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების განვითარების პროცესს. ამ თანამშრომლობის მიზანია ახალი ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების შეძენა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გახდნენ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

მნიშვნელოვანი პარტნიორები ამ მიმართულებით წარმოების სექტორში არიან ტექნოლოგიური კომპანიები, სამშენებლო კომპანიები, ავტომობილების, ენერგეტიკისა და სხვა მრეწველობის სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტაჟირებების, პრაქტიკების და გადამზადების შესაძლებლობებს. ასევე აღსანიშნავია კერძო სექტორის ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და რესურსებით ეხმარებიან უნივერსიტეტს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ევროპული და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტები - მაგალითად, ევროკავშირის პროგრამები, ერასმუსი, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო პროექტებს და გაცვლით პროგრამებს.

6. ინტერნაციონალიზაცია პროფესიულ განათლებაში

ინტერნაციონალიზაცია პროფესიულ განათლებაში თანამედროვე განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი პროცესია. ეს პროცესები ხელს უწყობენ ცოდნის გაზიარებას, კულტურების ინტეგრაციას და უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციის გაძლიერებას. ძირითადი ასპექტები მოიცავს:

1. **სასწავლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტიზაცია**: საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და შეფასება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც ხელს უწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას.
2. **მობილობა და გაცვლითი პროგრამები**: სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლითი პროგრამები, როგორიცაა ერსმუსი, ხელს უწყობს საერთაშორისო გამოცდილების მიღებას.
3. **კომპანიებთან პარტნიორობა**: საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობა და პრაქტიკული პროგრამების გაწვდილი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ პროფესიული უნარები.
4. **მულტიკულტურული სასწავლო გარემო**: სტუდენტების და ლექტორების მრავალფეროვნების მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს კულტურათა დიალოგს და ინტეგრაციას.
5. **გლობალური თემები და გამოწვევები**: მსოფლიო მასშტაბის პრობლემების განხილვა და მათზე მუშაობა, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური ინოვაციები და სოციალური თანასწორობა.
6. **ტექნოლოგიური ინტეგრაცია**: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ისწავლონ მსოფლიო მასშტაბით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მოიცავს რამდენიმე ძირითად ასპექტს:

1. **გაცვლითი საწარმოო პრაქტიკა საერთაშორისო პარტნიორებთან**: უნივერსიტეტი გეგმავს გააფართოოს თანამშრომლობა საერთაშორისო კომპანიებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება გლობალურ ბაზარზე.
2. **გაცვლითი პროგრამების გაძლიერება**: GTU გეგმავს გააფართოოს გაცვლითი პროგრამები და დაამყაროს ახალი პარტნიორული ურთიერთობები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, რაც სტუდენტებს სთავაზობს მეტ საერთაშორისო გამოცდილებას.
3. **სასწავლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტიზაცია**: გაცვლითი პროგრამების შემუშავება და შეფასება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას.
4. **მულტიკულტურული სასწავლო გარემოს შექმნა**: უნივერსიტეტი გეგმავს მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარებას საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, რაც მოამზადებს სტუდენტებს მრავალფეროვანი გარემოსთვის.
5. **კვლევის საერთაშორისო ფონდებზე წვდომა**: GTU გეგმავს აქტიურად მონაწილეობის მიღებას საერთაშორისო კვლევითი პროექტების კონკურსებში, რაც ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებს გაამდიდრებს.
6. **ტექნოლოგიური განვითარების ინტეგრაცია**: თანამედროვე ტექნოლოგიების, როგორიცაა ონლაინ სწავლების პლატფორმების და ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში.
7. **გლობალური გამოწვევების განხილვა**: საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და სტუდენტების ჩართვა გლობალური პრობლემების განხილვაში.

8. **სწავლა მუშაობის პროცესში:** პრაქტიკული სწავლება და სტაჟირებები ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების სწრაფ განვითარებას და კომპანიების მოთხოვნებზე მორგებას.
9. **უნივერსიტეტის და ინდუსტრიის თანამშრომლობა:** უნივერსიტეტების და კომპანიების თანამშრომლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს მათი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას.

ეს სიახლეები და ტრენდები პროფესიული განათლების ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და მათი გააზრება მნიშვნელოვანია როგორც განათლების წარმომადგენლების, ასევე სტუდენტებისათვის.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო.

- **საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**: ახალი და გაცვლითი პროგრამების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლას.
- **კომპანიებთან პარტნიორობა**: საერთაშორისო კომპანიების ჩართვა, რაც სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს.
- **მობილობის პროგრამების გაუმჯობესება**: სტიპენდიების და ფინანსური მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ საზღვარგარეთ სწავლის და სტაჟირების შესაძლებლობებს.
- **კულტურული გაცვლითი პროგრამების დანერგვა**: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, ისწავლონ სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებისგან.
- **გლობალური თემების ინტეგრაცია**: კურსების შინაარსში ინტეგრირება გლობალური გამოწვევების თემები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვა.

- **ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების მოდელების დანერგვა**: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, რაც სტუდენტებს ფართო პერსპექტივებს მისცემს.
- **კარიერული განვითარების მხარდაჭერა**: სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია და რესურსები, რათა დაეხმაროს მათ საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლაში.
- **კამპანიები პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის**: საზოგადოების ინფორმირება იმაზე, რომ პროფესიული განათლება არის ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი არჩევანი.
- **პროგრამების რეგულარული შეფასება**: საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის ანალიზი, რათა პროგრამები ადაპტირდეს მიმდინარე საჭიროებებზე.
- **ქვეყნის ანალიზი**: შეფასება, როგორ უნდა განვითარდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესები პროფესიული განათლების სფეროში, რათა უზრუნველყოს შედეგების ეფექტურობა.
- **სტუდენტების მხარდაჭერა**: პროფესიული განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარება, როგორიცაა ენები, კომუნიკაცია და კულტურული კომპეტენცია.

<u>დ ა ს კ ვ ნ ა</u>

1. პროფესიული განათლების სექტორის მცირე ზომა და მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი რის გამოც პროფესიული განათლების გავლენა საქართველოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე შეზღუდულია; ეს საკითხი უკავშირდება ხელმისაწვდომობას და ინკლუზიურობას, არსებულ გეოგრაფიულ, ფინანსურ, ინფორმაციულ და აკადემიურ ბარიერებს, საგანმანათლებლო ქსელის ნაკლებ შესაძლებლობას განსაკუთრებით რეგიონებში; პროფესიული განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის ღარიბი, მოწყვლადი ოჯახებიდან, დიდი ქალაქების გარეთ (რეგიონებში) და ა.შ.

2. მომზადებული კადრების კონკურენტუნარიანობის პრობლემა, რაც საჭიროა კურსდამთავრებულების დასაქმების/თვითდასაქმებისთვის, სოციალური ინკლუზიისთვის; ეს გამოწვევა უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული განათლების მოდერნიზება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შესაბამისობა, რესურსების პრობლემა, სწავლა - შეფასებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ხარისხის პრობლემა, საკვანძო კომპეტენციების განვითარება, დიგიტალიზაცია; მასწავლებლების, ინსტრუქტორების კომპეტენტურობა.

3. ახალგაზრდების რთული გადასვლა განათლებიდან შრომის ბაზარზე, პირველი სამუშაოს პოვნის პრობლემა რაც იწვევს უმუშევრობას ან უმოქმედობას (NEETs). ფაქტორებს შორის არის ახალგაზრდებისთვის გრძელ და მოკლევადიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობა, უნარების მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობა, დასაქმებისთვის საჭირო ტექნიკური და სოციალური უნარების ნაკლებობა; ამ ფაქტორებს უფრო მეტი უარყოფითი გავლენა აქვთ მოწყვლად ჯგუფებზე (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ღარიბი მოსახლეობა). წარმატებული მაგალითები არსებობს, თუმცა ახალგაზრდებს სამუშაო გამოცდილების მისაღებად არასაკმარისი შესაძლებლობები აქვთ, როგორიცაა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლა, სტაჟირება, სამუშაო პრაქტიკა, მოხალისეობა, სამეწარმეო უნარ-ჩვევების

გამომუშავება. ახალგაზრდების განათლებიდან სამუშაოზე გადასვლის მხარდამჭერი ღონისძიებები და სერვისები ხშირად არ არის მათზე მორგებული.

4. პროფესიული განათლების მართვა - კერძო სექტორის ნაკლები ჩართულობა და პასუხისმგებლობების განაწილება პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში; სისტემური და სისტემატური მიდგომის ნაკლებობა;

5. რეფორმის დანერგვის პროცესის მდგრადობის საკითხი როგორც სისტემის ასევე დაწესებულებების დონეზე. რეფორმების წარმატებით განხორციელება მოითხოვს მდგრად ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს; მეტია ფოკუსი პოლიტიკის შემუშავებაზე, ვიდრე პოლიტიკის განხორციელებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში.